საბჭოთა
საქართველო
68
წლისაა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

25 თებერვალი, შაბათი, 1989 წ.
№ 39 (9958) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ახალი სიმაღლეებისაკენ მტკიცე ნაბიჯებით

„განვლილი 68 წელი საუკუნეებს უტოლდება", ამ დღეებში ეს სიტყვები ხშირად გვხვდება პრესაში, გვესმის ტელე და რადიო გადაცემებიდან. ჭეშმარიტად! უფროსი თაობის ადამიანები თავად არიან მოწმენი რესპუბლიკის ცხოვრებაში გადადგმული იმ გიგანტური ნაბიჯებისა, რომელმაც მანამდე არნახულ სიმაღლეზე აიყვანა ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა დარგი. ცხადია, იგივე ითქმის რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაზე, რასაც მტკიცე საფუძვლები საქართველოში ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ჩაეყარა. ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტები და ენთუზიასტები უყოყმანოდ ჩადგნენ ახალი ცხოვრების ფერხულში. ახალმა მთავრობამ უმალვე გასცა განკარგულება ხელუხლებლად დარჩენილიყო სპორტული დარბაზები, ყოველმხრივ დაეჭირჭნ მხარი ამ დარგის მუშაკებისათვის. ამიტომ იყო, რომ 20-იანი წლების დასაწყისის ენთუზიაზმი არ განელებულა, პირიქით, ნოყიერი ნიადაგი ჰპოვა. გაიხსნა ფიზკულტურული უჯრედები შრომით კოლექტივებში, გაიზარდა ფიზკულტურის გაკვეთილების რაოდენობა სკოლებში, იწყება სპორტის კლასიკური სახეობების დანერგვა, პარალელურად კი ყურადღება ეთმობა სპორტის ეროვნული სახეობების და ხალხური თამაშების აღორძინებას. სხვათა შორის, იმ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ქართული სპორტული ტერმინოლოგიის დამუშავებას, დაიწყო ოფიციალური რესპუბლიკური შეჯიბრებების ჩატარება, პარალელურად ეწყობა ამიერკავკასიის პირველობები. დიდი წარმატებით ინერგება ფიზკულტურული დღესასწაულები.

ფიზკულტურა და სპორტი 20-იან წლებში მრავალმხრივ საყურადღებო სოციალურ ფუნქციას ასრულებდა. ცხადია, უმთავრესი ამოცანა იყო მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესება. იმ წლებში სპორტმა დიდად შეუწყო ხელი და საფუძველი განუმტკიცა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობას. 1928 წელს მოსკოვში გამართულ პირველ საკავშირო სპარტაკიადაზე სამი მოძმე რესპუბლიკა ერთ ძმურ კოლექტივად მონაწილეობდა. ქართული სპორტის წინსვლა-აღმავლობის ეტაპები ყველას კარგად მოეხსენება. საქართველო ხომ სპორტულ რესპუბლიკად იქცა. მსოფლიოს ბევრი ხალხმრავალი ქვეყანა ინატრებდა ისეთ მიღწევებს, რაც საქართველოს წარგზავნილებმა მოიპოვეს მსოფლიო სპორტულ არენაზე, კერძოდ, ოლიმპიურ თამაშებში. არადა, მსოფლიოს თუნდაც იმავე ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებსაც დიდ სპორტში ასე გავუსწარით, ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის ტრადიცია და გამოცდილება ჩვენ არასდროს გვქონია.

სპორტი, ისევე როგორც ხელოვნება და მეცნიერება, დღეს ერის თავგამოჩენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, ქართველი სპორტსმენები მსოფლიო სპორტულ სარბიელზე მხოლოდ მედლებისთვის როდი იბრძვიან. ისინი ყველგან და ყოველთვის ავლენენ ქართველი კაცის რაინდულ ბუნებას, მთელ სამყაროს აცნობენ თავის ხალხის საუკეთესო თვისებებს.

გარდაქმნისა და დემოკრატიზაციის დღევანდელ პირობებში რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის წინაშე უფრო საიმედო პერსპექტივები იშლება. ამ პროცესების სიკეთე ჩვენს სფეროშიც ნათლად ჩანს, მაგრამ ეს დასაწყისია მხოლოდ. ეს მხარდაჭერა და ხელშეწყობა, რასაც ჩვენი რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოები იჩენენ, მეტს გვავალებს. დასალაშქრია ახალი სპორტული სიმაღლეები, მტკიცე ნაბიჯებით მივდივართ წინ საყოველთაო-სახალხო ფიზკულტურული მოძრაობის დამკვიდრების გზაზე.

წინსვლას საფუძველს უმაგრებს განვლილი ათწლეულების მიღწევები.

ახალი სიმაღლეები გველის, მეგობრებო!

თბილისის XX საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი ძიუდოში

ზვიადი ეროვნული საპრეზიდიუმოს აღგილი

ასეთია საქართველოს ფალავნების შედეგი ორი დღის ასპარეზობის შემდეგ

ძიუდოისტთა თბილისის საერთაშორისო ტურნირის კალენდარში უმნიშვნელო ცვლილებები მოხდა — აბსოლუტური კატეგორიის ნაცვლად ჩატარდება გუნდური პირველობა. ამის გამო შეჯიბრების პირველ დღეს მედლების კომპლექტი სამი წონითი კატეგორიის (მძიმე, 95 და 86 კგ) ათლეტებმა გაითამაშეს. პრეზიორთა შორის მოხვდა მხოლოდ ერთი უკბოელი მონგოლეთის გუნდის წევრი მძიმე წონაში პატამა ბატერდენე. ყველა დანარჩენი მედალისტი ჯეოჯორობით ან საბჭოთა კავშირის ნაკრების, ან საქართველოს გუნდის წარმომადგენელია (ტურნირში, ტრადიციულად, ქვეყნისა და საქართველოს გუნდები ცალ-ცალკე ასპარეზობენ).

საქართველოს მოჭიდაველთაგან, ცხადია, გულშემატკივრები მაღალ შედეგებს მოელიან. მაგრამ ასპარეზობის პირველი დღის შედარებით წარუმატებლობას, როგორც ჩანს, აქვს ობიექტური მიზეზი. საკავშირო ნაკრები, ცნობილია, ევროპის ჩემპიონატისათვის ემზადება. ოთხ წონაში მწვრთნელებს კანდიდატები უკვე ჰყავთ შერჩეული და მათ პასუხსაგები ასპარეზობის წინ დასვენების საშუალება მისცეს. ამ ოთხეულიდან სამი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი გახლავთ (ეკა კურტანიძე, გიორგი თენაძე და ამირან ტოტიკაშვილი), ერთი კი მძიმეწონისანი გრიგორი ვერიჩევია. სამი გამოკვეთილი ლიდერის გარეშე კოლექტივს ბევრს ალბათ ვერც მოვთხოვთ, მაგრამ არის კიდევ ერთი მიზეზი, რომელსაც აქვე მოგახსენებთ.

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს ძიუდოისტებმა საკავშირო ჩემპიონატში ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს: მოიპოვეს გუნდური

იხ. მე-3 გვ.



რენა ლალიძის ფოტო

ორი ტურის შემდეგ

დამთავრდა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა 45-ე საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტური. გთავაზობთ 22 და 23 თებერვალს ჩატარებულ შეხვედრათა შედეგებს:

ბაქო. „დინამო" (თბილისი) — „მოსკვიჩი" 7:7 (1:1, 1:3, 3:2, 2:1), „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი) 11:5 (5:1; 3:3, 0:1, 3:0), „დინამო" (ალმა-ათა) — კკფ (ბაქო) 7:6 (2:1, 2:1, 0:3, 3:1); „დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი) 10:9 (2:2, 2:2. 2:2, 4:3), „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (ალმა-ათა) 15:4 (1:1, 6:0, 6:0, 2:3), კკფ (ბაქო) — „მოსკვიჩი" 6:4 (2:1, 2:0, 1:1, 1:2).

ლვოვი. „ტორპედო" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (ხარკოვი) 8:8 (3:2, 2:3, 2:2, 1:1), ცსკა ვმფ— უნივერსიტეტი (მოსკოვი) 8:3 (2:1, 3:0, 2:1, 1:1), „დინამო" (ლვოვი)— კჩფ (სევასტოპოლი) 8:7 (2:1, 1:4, 3:0, 2:2); უნივერსიტეტი (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (ხარკოვი) 7:6 (2:0, 1:2, 1:3, 3:1), „ტორპედო" (მოსკოვი) — კჩფ (სევასტოპოლი) 7:4 (0:0, 2:1, 3:1, 2:2). „დინამო" (ლვოვი) — ცსკა ვმფ 9:9 (3:2, 3:2, 2:3, 1:2).

გათამაშების ცხრილი

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ 25 თებერვლისთვის						
„დინ." (მოსკ.)	8	6	1	1	94-61	13
„დინ." (თბ.)	8	6	1	1	63-61	13
„დინ." (ლვოვი)	8	5	2	1	69-69	12
ცსკა ვმფ	8	5	1	2	83-56	11
„უნივ." (მოსკ.)	8	4	1	3	61-52	9
„დინ." (ა-ათა)	8	4	1	3	55-61	9
„ტორპ." (მოსკ.)	8	2	4	2	57-64	8
„დინ." (კიევი)	8	1	3	4	57-65	5
„მოსკვიჩი"	8	1	3	4	50-59	5
კჩფ (სევასტ.)	8	2	1	5	61-70	5
კკფ (ბაქო)	8	1	1	6	52-59	3
„ლოკ." (ხარკ.)	8	1	1	6	58-73	3

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ

რწმენა უნდა დავიბრუნოთ

თბილისი. სპორტის სასახლე. 22 თებერვალი.

„დინამო" (თბილისი) — ვეფ (რიგა) 85:84 (47:51).

„დინამო": დარსაძე (26), კოლიჩევი (20), სანაძე (18), კროპაჩოვი (8), ვაშაკიძე (6), შენგელია (5), ტიუბინი (2), ფერიაშვილი.

ვეფ-ი: ეკობსონსი (28), ვეტრა (21), ლიეკა (9), ბონდარენკო (8), მელდერისი (6), მელნიკი (6), ზანკოვსკი (3), ლაკსა (3), იანზემსი.

მსაჯები — ე. რესერი (მოსკოვი) და ვ. ბიჩკოვი (მოსკოვის ოლქი)

• • •

თბილისი. სპორტის სასახლე. 23 თებერვალი.

„დინამო" (თბილისი) — ვეფ (რიგა) 82:77 (43:42).

„დინამო": შენგელია (31), კოლიჩევი (17), დარსაძე (15), კროპაჩოვი (11), სანაძე (3), ტიუბინი (3), თორთლაძე (2), ვაშაკიძე, ფერიაშვილი.

ვეფ-ი: ვეტრა (25), ეკობსონსი (17), ლიეკა (11), ზანკოვსკი (8), მელნიკი (8), მელდერისი (6), ბონდარენკო (2), ლაკსა.

მსაჯები — ე. რესერი (მოსკოვი) და ვ. ბიჩკოვი (მოსკოვის ოლქი).

ᲛᲐᲣᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ქცევას, გუნებაგანწყობილებასა და ხასიათს ყველაზე უფრო ზუსტად გუნდის თამაში და აქედან გამომდინარე მისი მდგომარეობა განსაზღვრავს. თბილისის „დინამოს" გულშემატკივრები, მათი რიცხვი კი, მოგეხსენებათ, საკმაოდ დიდია, დღეს კალათბურთის ესთეტიკაზე, სანახაობრივ მხარეზე ნაკლებად ფიქრობენ. შექმნილმა სიტუაციამ ისინი, კარგა ხანია, სხვა პოზიციაზე დააყენა. გამარჯვება და ქულები — აი რა არის დინამოელთა მთავარი მიზანი ამ ეტაპზე, მიზანი, რომლის შესრულებაც ასე თუ ისე, დააშორებს თქვენს გუნდს, ეგრეთწოდებულ, საშიშ ზონას.

ესეც, დაგვეთანხმებით, ალბათ ბრძოლის თავისებური ფორმაა, სადაც ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ნერვების სიმტკიცეს ენიჭება. კიდევ კარგი, რომ ამ კრიტიკულ მომენტში „დინამო" მარტოდ-მარტო არ დარჩა, რომ მის თამაშს მხარს უმაგრებს მაყურებლების მხურვალე მხარდაჭერა. გულშემატკივრები საყვარელ კოლექტივს მთელი სულითა და გულით ქომაგობენ, ამხნევებენ, გამარჯვებისკენ მოუწოდებენ და ამით, ეს ყველაზე უფრო მთავარია, კოლექტივის წევრებს დაკარგულ რწმენას უბრუნებენ.

იხ. მე-3 გვ.



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: თბილისის დინამოელები შენგელია (№11) და ვაშაკიძე (№6) ასპარეზობისას. ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

დიდი ანგარიშით

ლესელიძის სპორტულ ბაზაზე, თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდმა მორიგი საწვრთნელი მატჩი გამართა, მისი მეტოქე ამჯერად დონეცკის „შახტიორი" იყო. თამაში დინამოელთა სრული ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობით მიმდინარეობდა და მათივე გამარჯვებით — 4:1 დამთავრდა. ბურთები გაიტანეს კაჭარავამ (2), ყაველაშვილმა და ფანცულაიამ.

დინამოელთა შემადგენლობა: გაბელია, კეტაშვილი, მაჭავარიანი (არზიანი), ჭედია, ცხადაძე (ფანცულაია), სვანაძე, აფციაური, ცვეიბა, ცაავა (ყაველაშვილი), გოგიჩაიშვილი, კაჭარავა.

სოფია უნივერსიადის მოლოდინშია

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ დედაქალაქისა და მის შემოგარენში მდებარე სპორტულ ბაზებზე 2-დან 12 მარტამდე გაიმართება სტუდენტთა მსოფლიო ზამთრის თამაშები. შეჯიბრების პროგრამაშია თხილამურებით რბენა, სამთო-სათხილამურო სპორტი და ციგურებით რბენა, ორჭიდი, ტრამპლინიდან ხტომა, ჰოკეი, ფიგურული ციგურაობა და ბიატლონი. სულ გათამაშდება მედლების 38 კომპლექტი, რომლის მოსაპოვებლად 32 ქვეყნის ათასამდე სტუდენტი შეეცილება ერთმანეთს.

ასე იწყებოდა...

ვინც ბალავერთან იდგა

ერთ-ერთი მეცადინეობის დროს ეგნატაშვილმა შემომთავაზა ფიზკულტურის მასწავლებლად წასვლა ბებუთოვის (ახლა ენგელსის) ქუჩაზე მდებარე ქალთა დიდ სასწავლებელში. თან დასძინა, მართალია სკოლა რუსულია, მაგრამ შენ გაკვეთილებს ქართულად უნდა გაუძღვეო. მე დავეთანხმე და მეორე დღესვე გამოცხადდი ადგილზე. სასწავლებლის დირექტორად მუშაობდა ევგენი ჭოღოშვილი — მშვენიერი შესახედაობის ქართველი კაცი. მან გულთბილად მიმიღო და თან გამაფრთხილა: „ჩვენი მოწაფეები თქვენზე უფროსები არიან, მაგრამ არ შეშინდეთ, მე ყურადღებას არ მოგაკლებთ, გაკვეთილებზე ხშირად დაგესწრებითო“. მე იმხანად 18 წლისაც არ ვიყავი, სასწავლებელში კი 25 წლისანიც იყვნენ.

სასწავლებელს ქვედა სართულზე ყველანაირი იარაღით აღჭურვილი სავარჯიშო დარბაზი ჰქონდა, ზემოთ, მესამე სართულზე კი საზეიმო შეკრებებისთვის განკუთვნილი მეორე დარბაზი იყო. ამ დარბაზის ავანსცენაზე იდგა დიდი როიალი და მეც გაკვეთილებს უფრო ხშირად აქ ვატარებდი, რადგან თავისუფალი მოძრაობისა და სიარულისთვის მუსიკა მჭირდებოდა. აკომპანიატორად მყავდა მშვენიერი მუსიკოსი, ეროვნებით ჩეხი ბოგუმილ კოტეკი, რომელიც ფიზკულტურის დიდი მოყვარული იყო. ჩემს მიერ შედგენილ ყოველ თავისუფალ ვარჯიშს იგი ახალ მელოდიას შეუწყობდა ხოლმე. გაკვეთილები საინტერესოდ ტარდებოდა და მოწაფეებსაც ძალიან შეუყვარდათ ფიზკულტურა. კვირაში ორჯერ ჩავდიოდით სავარჯიშო დარბაზში, სადაც მოწაფეებს იარაღებზე ვავარჯიშებდი, სათამაშოდ კი ეზოში გავდიოდით. დირექტორი ძალიან მაფასებდა და პატივს მცემდა, თან უკვირდა, ასეთი პატარა გოგო როგორ იმორჩილებს ამდენ მოწაფესო. რა იცოდა მან, რომ ქუთაისშიც ჩემზე ბევრად უფროს ქალებს ვხელმძღვანელობდი. ერთი სიტყვით, გამოცდილება და პრაქტიკა უკვე საკმაოდ მქონდა და გაკვეთილებს თავისუფლად ვატარებდი.

საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებში სკოლების მუშაობას ხშირად ამოწმებდნენ განათლების დარგის მაღალი თანამდებობის პირები. მოდიოდნენ ჩვენს ტექნიკუმშიც. როცა ჩვენთან ვინმე მოვიდოდა, დირექტორი უსათუოდ ჩემს გაკვეთილზე შემოიყვანდა — აქ ყოველთვის ისმოდა როიალის ხმა, ქალიშვილები მუსიკის ტაქტზე ასრულებდნენ თავისუფალ მოძრაობებს, რაც ძალიან ლამაზი სანახავი იყო და დირექტორიც ყველა სტუმარს სიამოვნებით უჩვენებდა ფიზკულტურის გაკვეთილს. მე ზევით, სცენაზე ვიდექი და მოსწავლეებს ავიდან ვაჩვენებდი ხოლმე ვარჯიშებს.

ერთ დღეს გაიღო დარბაზის კარი და შემოვიდა დირექტორი. მას თან ახლდა ორი უცნობი მამაკაცი. მოწაფეები შესანიშნავად ასრულებდნენ ყველა ვარჯიშს და გაკვეთილიც ბრწყინვალედ ჩატარდა. ხარი რომ დაირეკა, ერთმა სტუმარმა გაგანმა ხელი ჩამომართვა და რუსულად მომმართა — ჯერ მადლობა გამომიცხადა, შემდეგ დაუმატა: „გმადლობთ, დიდად ვისიამოვნეო“. დირექტორმა ისინი გააცილა და რომ დაბრუნდა, მითხრა: „შენ რომ ხელი ჩამოგართვა, ის ლუნაჩარსკი იყო“.

ზამთარში შერჩეულ მოწაფეებს აკვეთილების შემდეგ სასწავლებელში ვტოვებდი და ცალკე ვამეცადინებდი. ვემზადებოდით საჯარო გამოსვლისათვის, რომელიც გაზაფხულზე უნდა მოწყობილიყო. დირექტორი ძალიან მეხმარებოდა, რეპეტიციებზე ხშირად მესწრებოდა და ყველას აფრთხილებდა, ჩემთვის ხელი არ შეეშალათ. მართლაც, კარგად მოვემზადეთ — მოსწავლეებს მრავალნაირი თავისუფალი ვარჯიში შევასწავლე — მხატვრული „გაჯრები“ და „მიჯრები“, „პირამიდები“, „ფერხული“ და სხვა. მაისის ბოლოს, დათქმულ დღეს, დირექტორმა დაიქირავა სასულე ორკესტრი. სკოლის ეზო თოკით შემოაკავეს და ირგვლივ სკამები დადგეს. დაბეჭდვინეს აგრეთვე მოსაწვევი ბარათები და დაუგზავნეს განათლების დარგის მუშაკებს. ბარათები დაურიგდათ გამოსვლის მონაწილე მოწაფეებსაც მშობლებისა და ნათესავების დასაპატიჟებლად. ბევრი ისე, დაუპატიჟებლადაც მოვიდა. დაგვესწრნენ ჩვენი ძველი მოვარჯიშეებიც გიორგი ეგნატაშვილისა და გიორგი ნიკოლაძის თავკაცობით. გამოსვლა ძალიან კარგი, საინტერესო გამოვიდა და ყველას მოეწონა. მე დიდი თაიგული მომართვეს. დირექტორი ძალიან კმაყოფილი დარჩა, პატივსაცემ სტუმრებს ჩაით და ხილით გაუმასპინძლდა, შემდეგ კი სამასწავლებლოში დიდი მადლობა გამომიცხადა და ერთი თვის ხელფასით დამაჯილდოვა.

რამდენიმე ხნის შემდეგ თბილისის ზოგიერთ სკოლას, მაგალითად, გიგა ბერიძისას, განსიორსკაიას და ჩემსას, სახელდახელო გამოსვლა მოგვაწყობინეს. ლუნაჩარსკი ყოფილა ჩამოსული და მის პატივსაცემად დაუნიშნავთ ეს ღონისძიება.

საერთოდ, ლუნაჩარსკის ძალიან უყვარდა ფიზკულტურა და სიამოვნებით ესწრებოდა ყველა საჯარო გამოსვლას. ამას წერს მისი მეუღლე, ნატალია ალექსანდრეს ასული როზენტალი-ლუნაჩარსკაია თავის წიგნში „ხსოვნა გულისა“, რომელიც მან მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გამოსცა. სხვათა შორის, ამ წიგნში ავტორი თბილისში ყოფნასაც იგონებს. ამ გამოსვლაში ჩემი მოწაფეები ლამაზ, მაგრამ რთულ ნაერთებს ასრულებდნენ. ლუნაჩარსკის განსაკუთრებით მოეწონა ერთი გოგონას ვარჯიში, რომელიც წინ, შუაში მყავდა დაყენებული და მართლაც საუცხოოდ ცეკვავდა. ლუნაჩარსკიმ ის თავისთან მიიხმო და უთხრა, თუ ცეკვის შესწავლას მოინდომებ, ჩამოდი მოსკოვში, მოდი ჩემთან და მე მოგაწყობ სადაც საჭირო იქნებაო.

შემდეგ წელიწადს ჩვენი სასწავლებელი ბელგიის ქუჩაზე გადავიდა, მე კი დავრჩი იმავე შენობაში, სადაც 70-ე სკოლა მოთავსდა. ამ სკოლაში ყოფნის დროსაც ყოველ გაზაფხულზე ვმართავდი ჩვენებელ გამოსვლებს, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ამ სკოლის მოწაფეები ძალზე მუსიკალური და პლასტიკურები იყვნენ, ცეკვაც იცოდნენ, ამიტომ სასულე ორკესტრის გარდა ვიწვევდი აზიურ საკრავთა ანსამბლს და თარის, ქამანჩისა და დოლის თანხლებით ვავარჯიშებდი. მახსოვს, ერთხელ მოვამზადე „უზუნდარას“ მოტივზე დადგმული ვარჯიში-ცეკვა. მოვარჯიშეები ამ ვარჯიშს მოეღარუნე დაირებით ხელში ასრულებდნენ.

სკოლაში გაკვეთილების შემდეგ, ცვირაში ორჯერ, საღამოობით ვავარჯიშებდი ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის წრის ქალთა განყოფილებას. წრეს ხელმძღვანელობდა ვანო მაჭავარიანი. ამ წრეში ვარჯიშობდნენ მსახიობები, მოცეკვავეები, მხატვრები და ხელოვნების სხვა დარგის მუშაკები. მახსოვს, ვაქების წრეში იმ დროს ვარჯიშობდნენ კინომსახიობი კოტე მიქაბერიძე, მხატვარი დიმიტრი თავაძე და ბევრი სხვა.

ქალთა წრეში სისტემატურად ვარჯიშობდა მსახიობი თამარ ჭავჭავაძე. იარაღებზე ვარჯიშის დროს ძალიან გაუბედავი იყო. მე ყოველთვის გვერდით ვედექი გასამხნევებლად და დასახმარებლად, თანაც მეშინოდა, არ ჩამოვარდნილიყო და არ დაშავებულიყო. ერთხელ რუსთაველის თეატრში დაიდგა ახალი პიესა მისი მონაწილეობით. თამარ ჭავჭავაძემ პრემიერაზე მოვარჯიშე ქალები დაგვპატიჟა და ყველას ბილეთები მოგვიტანა. პიესის მიხედვით, თამარის პერსონაჟი სხვენზე უნდა ასულიყო. ჩვენ ვიფიქრეთ, რომ იგი ამას ვერ შესძლებდა, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, როდესაც მან ხელი წამოავლო სცენის კუთხეში მიყუდებულ დაჯღრეულ კიბეს, მიადგა კედელს და სხვის დაუხმარებლად ერთ წუთში ავარდა ზემოთ. მეორე დღეს, მორიგ მეცადინეობაზე ვკითხეთ: „აქ რომ ასეთი გაუბედავი ხარ, იარაღზე ასვლისა გეშინია, იქ როგორღა მოახერხე ისეთ დაჯღრეულ კიბეზე ასვლა?“ მან გულიანად გაიცინა და გვითხრა: „როდესაც სცენაზე ვარ, მავიწყდება ყველაფერი, გარდა ჩემი როლისა, რომელიც უნაკლოდ უნდა შევასრულო“. ხელოვნების მუშაკთა წრის მეცადინეობა ტარდებოდა რუსთაველის გამზირზე ვაჟთა პირველი სკოლის სპორტდარბაზში. მეცადინეობაზე ხშირად გვესწრებოდა გიორგი ეგნატაშვილი. იქ 3 წელი ვმუშაავე, თან პარალელურად ვმუშაობდი თბილისის მე-6 და 51-ე სკოლებში, სადაც სხვა საგანთან ერთად, პენსიაზე გასვლამდე ფიზკულტურის გაკვეთილებსაც ვატარებდი.

იმ დროს ჩვენი ძველი მოვარჯიშეები, მაგალითად, ვანო ბერიძე, ვანო მაჭავარიანი, გულო რცხილაძე, გიორგი ბაბილოძე, ალექსანდრე ჯორჯაძე და სხვები, ისე დაოსტატდნენ, რომ ყველა შეჯიბრებებში იღებდნენ მონაწილეობას და პირველ ადგილებს ისაკუთრებდნენ ჩვენთან, საქართველოშიც და რუსეთშიც. გაიოზ ბერელაშვილს და გიორგი ნიკოლაძეს კი ჯილდოები საზღვარგარეთ, პრაღაშიც ჰქონდათ მიღებული.

მახსოვს, ერთხელ, საქართველოს პირველობაზე ტანვარჯიშში, თითქმის ყველა ჩვენი მოვარჯიშე — ვანო მაჭავარიანი, გიორგი მერკვილაძე, ვანო ბერიძე, გაიოზ ბერელაშვილი, გიორგი ნიკოლაძე და სხვები მონაწილეობდნენ. შეჯიბრების პირველ დღეს პირველ ადგილზე გავიდა გიორგი ნიკოლაძე, მეორეზე — ვანო მაჭავარიანი, მესამეზე — ვანო ბერიძე, მეოთხეზე — გაიოზ ბერელაშვილი, მეხუთეზე — გიორგი მერკვილაძე. ალექსანდრე კაიშაური თავის წიგნში „მეცნიერი—სპორტსმენი“ წერს: „გიორგისთან ყველა მივიდა და პირველობა მიულოცა, როდესაც გაიოზი და გიორგი მივიდნენ მისალოცად, გიორგიმ სიცილით უთხრა: „თქვე დაღუპულებო, ხომ გეუბნებოდით, ივარჯიშეთ, ივარჯიშეთ, მაშ რა გეგონათ, პირველობა თავისით მოვიდოდა?.“ საერთოდ, გიორგიმ ხშირად იცოდა სიტყვა „დაღუპულოს“ ხმარება, მაგრამ მისი ბუბუნა ხმით ნათქვამი ეს სიტყვა საწყენად არავის რჩებოდა.

ვაქების ვარჯიშები იარაღებზე, რა თქმა უნდა, საგრძნობლად გართულდა, მაგრამ, ფაქტობრივად, ახლაც იგივეა, რაც ჩვენს დროს იყო. აი, ქალების ვარჯიშში კი სულ სხვა სურათია.

1922-24 წლებში და უფრო ადრეც, თამარ ნიკოლაძე ითვლებოდა ყველაზე ძლიერ მოვარჯიშედ. მას ბევრჯერ მიუღია მონაწილეობა რუსეთში გამართულ შეჯიბრებებში და ყოველთვის გამარჯვებული დაბრუნებულა. ქალების ახლანდელი და მაშინდელი ვარჯიშები დიდად განსხვავდება. ჩვენ, მაგალითად, ხელყირებს მხოლოდ ორძელის ბოლოებში ვაკეთებდით. უფრო ძლიერები ვიყავით რგოლებზე ქანებაში, რომლის დროსაც პირადად მე ვასრულებდი სრულ ბრუნებს და ზეშვერებს ორივე მხარეს ქანებაში. წინ ქანებაში ზეშვერი უფრო ადვილია, ვიდრე უკანა ქანებაში. თამარი ორივე მხარეს, ძალიან იოლად აკეთებდა ამას. მე კი უკანა ზეშვერი მიჭირდა. ქუთაისში რომ დავბრუნდი, თამარი წერილში უსათუოდ მკითხავდა, ზეშვერი გამოგდის თუ ვერაო.

ჩვენ ორძელი ორივე მხარეს ერთნაირი სიმაღლისა გვქონდა, ახლა კი ნაირსიმაღლის ორძელზე ვარჯიშობენ. ამნაირ ორძელზე ვარჯიში ბევრად უფრო ძნელია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქალები შესანიშნავად ასრულებენ მასზე ურთუულეს ნაერთებს, ხელყირებს, სალტოებს, აღმატრიალებს და მოვლებებს. ერთი სიტყვით, უდავოა, რომ ქალთა ვარჯიშები ძალიან დამშვენდა და გართულდა.

1922 წლიდან ძველი მოვარჯიშეები ხშირად ვიკრიბებოდით ერთად, უმეტესწილად გიორგი ნიკოლაძის ბინაში ბანოვის (ახლანდელი ტაბიძის) ქუჩაზე №21 სახლში. ეს დიდი ბინა მთლიანად ეჭირა ნიკო ნიკოლაძის მრავალსულიან ოჯახს შვილებით, სიძეებით და შვილიშვილებით. თითქმის სულ აქ იყვნენ ნიკო ნიკოლაძის მოხუცებული დედაც — კატო და ანიკო, დიდად განათლებული საზოგადო მოღვაწე ქალები.

საღამოობით ყველანი დიდი სიამოვნებით ვიკრიბებოდით მათთან. ნიკოლაძეების ოჯახში ყველა ჩვენზე უფროსი, ჩვენზე განათლებული და საქვეყნოდ ცნობილი პიროვნება იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავს ძალიან თავისუფლად ვგრძნობდით, რადგან ისინი ფრიად კეთილშობილი ადამიანები იყვნენ, თავი ძალზე უბრალოდ ეჭირათ. ზარის დარეკვის შემდეგ, კარს რომ გააღებდნენ, პირზე ღიმილით შემოგეგებებოდა გიორგის დედა, ქალბატონი ოლიკო. ხელს ჩამოგართმევდა, მოგიკითხავდა ახლობლებს, გკითხავდა, თუ რამე აინტერესებდა. ამ დროს გამოვიდოდა გიორგი და თავის ოთახში შეგვიძღვებოდა. იქ დაგვხვდებოდნენ ადრე მისული ჩვენი მოვარჯიშეები — ზოგი ჭადრაკს თამაშობდა, ზოგიც კითხულობდა. იმ დროს ყველანი სტუდენტები ვიყავით, გიორგი კი დოცენტი იყო და მას რჩევას ვთხოვდით. გიორგი ძალიან დაინტერესებული იყო იმით, რომ ყველას კარგად ესწავლა და საგნები დროზე ჩაებარებინა. პროტექციით ნიშანს არასოდეს დაწერდა, უნდოდა, რომ ყველას ნამდვილი ცოდნა ჰქონოდა. თუ სთხოვდი, სიამოვნებით დაგეხმარებოდა საგნის ახსნაგაგებაში.

ნიკოლაძეებთან საღამოს უსათუოდ ჩაიზე მიგვიწვევდნენ, სასადილო ოთახში დიდ მაგიდას გააწყობდნენ, აუცილებლად მოიტანდნენ ორგვარ ორცხობილას, რამდენიმენაირ მურაბას, შემოდგომაზე კი ახალ ნიგოზს. გიორგიმ იცოდა, ვის რომელი მურაბა უყვარდა და იმას დაუდგამდა წინ, თან არ მოეშვებოდა, სანამ არ შეაჭმევდა. ნამდვილი ქართული სტუმართმოყვარე ოჯახი იყო. ამ დროს სუფრასთან ისხდნენ ოჯახის სხვა წევრებიც. ჩვენი ბიჭები ბევრს ოხუნჯობდნენ, იყო სიცილი და მხიარულება. ასე ვატარებდით დროს მათ ოჯახში.

ერთხელ გიორგის ოთახიდან რომ გამოვედით, ჩაის სასმელად გაწყობილ სუფრასთან, სასიამოვნო შესახედაობის მოხუცი ვიხილეთ. მე ის მანამდე არ მენახა, არ ვიცოდი ვინ იყო. გიორგიმ მასთან მიმიყვანა და უთხრა, მამა, ეს ქეთო მოსაშვილიაო. ჩემი გვარი რომ გაიგო, მაშინვე მითხრა, ალბათ სოფელ გუბიდან იქნებიო. მე დავუდასტურე. შემდეგ ბიძაჭმის, ბათლომე მოსაშვილის შესახებ მკითხა. მეტი არაფერი უკითხავს. ყველანი ჩაის შევექცეოდით. სუფრაზე საერთო საუბარი იყო. რუსულადი მამას ეკამთბოდა ჯიხაიშის თამბაზე. ჩვენ იმ ხანებში ძალიან გაგვიტაცა მთამსვლელობის ამბებმა და გიორგიც სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ჩვენ მწვერვალებს სხვა ტომის ხალხი იპყრობს, ქართველებს კი არც ერთი ასვლა არ ჩაუტარებიათო. ბევრი კამათის შემდეგ გადაწყდა, რომ მომავალ ზაფხულს მოეწყოს ექსპედიცია კავკასიონის მაღალი მწვერვალის აკაზეგის დასაპყრობად. ამ გადაწყვეტილებას ყველა ჩვენგანი სიხარულით შეხვდა. ახლა საჭირო იყო ასვლისათვის მომზადება. ამისათვის თბილისის მიდამოებში საწვრთნელი პრაქტიკული მეცადინეობები უნდა ჩაგვეტარებინა: ვვარჯიშობდით წერაყინის ხმარებაში, საფეხურების გაკეთებაში, კარვების გაშლა-აკეცვაში, თოკების ხმარებისა და მათი გადაბმის ხერხებში. მომზადების მთავარი შტაბი, რა თქმა უნდა, ნიკოლაძეების ბინა იყო. ნახევარი წელი მათი ბინა არ დალაგებულა — მთელი ინვენტარი იქ ინახებოდა, ტრიალებდა უამრავი ხალხი, იყო ერთი აურზაური. გიორგის ოჯახის წევრები, უკმაყოფილების ნაცვლად, რითაც შეეძლოთ, ხელს გვიმართავდნენ. იმ დროს ქუთაისიდან შემატყობინეს, დედაშენი ავად გახდაო. მე მაშინვე ქუთაისში გავემგზავრე, სექტემბრამდე იქ დავრჩი და, რასაკვირველია, ექსპედიციას გამოვაკლდი, ჩვენები კი გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით 1923 წლის 28 აგვისტოს მყინვარწვერზე ავიდნენ. ეს იყო პირველი მასობრივი ასვლა — 18 მთამსვლელმა, მათ შორის 5 ქალმა — ლიდუსი ჩხეიძემ, მარო ბეჟანიშვილმა, ელიკო ლორთქიფანიძემ, ასმათ ნიკოლაიშვილმა და მარო ტყავაძემ — მწვერვალზე აღმართეს ალამი. ამრიგად, ასრულდა გიორგი ნიკოლაძის ოცნება — მყინვარწვერზე ავიდა პირველი ქართული ექსპედიცია. მას შემდეგ მოეწყო მეორე ექსპედიციაც, რომელსაც ალექსანდრე დიდებულიძე ხელმძღვანელობდა. ამ ასვლაში მონაწილეობდნენ ჩვენი ახლობლები — სოსო ასლანიშვილი, ალექსანდრა ჯაფარიძე და სხვები. დღეს უკვე აღარ არსებული — ფაქტია, რომ გიორგი ნიკოლაძის ოჯახის მყინვარწვერ-ზე ასვლით საფუძველი ჩაეყარა საქართველოს მთამსვლელობას. მაღე, 1925 წელს, დაარსდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, სადაც ჩამოყალიბდა მთამსვლელობის განყოფილება, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს გიორგი ნიკოლაძე, მდივნად — მიქელ პატარიძე.

ენთუზიასტებმა ახლა იალბუზის დაპყრობა განიზრახეს და საწვრთნელი ექსპედიციაც მოაწყვეს, 1925 წლის 12 ივლისს კი, ისევ გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით, 19 ალპინისტი, მათ შორის იგივე 5 ქალი, ავიდა კავკასიონის უმაღლეს მწვერვალ იალბუზზე.

დადგა 1926 წელი. შემოდგომაზე უნივერსიტეტმა გიორგი სადოქტორო დისერტაციის დასაცავად მიავლინა საფრანგეთში. მასთან ერთად გაემგზავრა მამამისიც, ნიკო ნიკოლაძე, რომელიც ასევე საფრანგეთში იყო გგზავნილი მთავრობის მიერ. მათ გასაცილებლად სადგურზე თითქმის ყველა მოვარჯიშე შეეკრიბეთ.

გიორგიმ დისერტაცია ბრწყინვალედ დაიცვა, ყველა ჩვენგანს კი თბილისში ანოტაციები და სურათები გამოგვიგზავნა. წერილებსაც ხშირად გვწერდა — გვატყობინებდა საფრანგეთში, გერმანიაში და ინგლისში ტანვარჯიშის მდგომარეობას. დროს რომ მოიხელთებდა, თურმე სავარჯიშო დარბაზებში დადიოდა, თვითონაც ვარჯიშობდა და საქმესაც ეცნობოდა. ნანახს და ნასწავლს ჩვენ გვიზიარებდა.

1927 წელს გავიგეთ, რომ გიორგიმ იქორწინა ჩვენს ძველ მოვარჯიშე ეორეეტა ღამბაშიძეზე — ცნობილი ექიმის ვახტანგ ღამბაშიძის ქალიშვილზე. ყველას გაგვიხარდა ეს ამბავი, რადგან ეორეეტას კარგად ვიცნობდით. გიორგის მამა, ნიკო ნიკოლაძე, მალე ჩამობრუნდა საქართველოში და მეორე წელს 85 წლისა გარდაიცვალა. 1928 წელს გიორგი მეუღლესთან ერთად დაბრუნდა საქართველოში და ისევ ძველებურად გამოცოცხლდა მთამსვლელობის სექცია.

1929 წელს, სამი ალპინისტისგან — გიორგი ნიკოლაძე, პიმენ დვალი, სიმონ ჯაფარიძე — შემდგარი ექსპედიცია თეთნულდისკენ დაიძრა. პირველ დღეს, ტექნიკური მიზეზების გამო, ასვლა ვერ მოხერხდა, მოლაშქრეებმა ღამე თეთნულდის კალთაზე, პატარა ბაკანზე გაათენეს. მეორე დღეს, 27 აგვისტოს, დარიანი დილა გათენდა. ასვლა დაიწყო 7 საათზე. წინ მიდიოდა სიმონი, შუაში პიმენი და ბოლოს გიორგი. ყველანი მშვენიერ კუნებაზე იყვნენ. მწვერვალამდე აღარაფერი რჩებოდა, როცა პიმენ დვალი დაცურდა. გიორგიმ სიმონს დაუძახა, მან პიმენს ჯერ წერაყინი ჩაურჭო, შემდეგ მხარშიც ჩაავლო ხელი, მაგრამ ვერ შეაჩერა და თვითონაც დაცურდა. ორივე ჯერ ნელა მიცურავდა, შემდეგ, თითქოს მოწყდნენო, ისე სწრაფად დაეშვნენ ძირს და ყინულის ძაბრში ჩაცვივდნენ.

ასე მოულოდნელად, ტრაგიკულად დაიღუპა ამ ასვლის ორი მონაწილე. გიორგი ნიკოლაძე თბილისში რომ დაბრუნდა და მოვინახულეთ, ავადმყოფი დაგვიხვდა. ციებას, რომელიც უკვე სვანეთში შეჰყოლოდა, ისე დაესუსტებინა, რომ ძლივს ლაპარაკობდა. მაინც ყველაფერი დაწვრილებით გვიამბო: დაღუპულების საძებრად მთელი სვანეთის მონადირეები შეკრებილიყვნენ. ისინი გიორგისთან ერთად წასულიყვნენ დაღუპულთა საძებრად. სამ დღეს უშედეგოდ ეძებდნენ. 2 სექტემბერს ნახეს პიმენ დვალი, სიმონი კი 8 სექტემბერს იპოვეს. პიმენ დვალი სვანეთში დასაფლავეს, სიმონ ჯაფარიძე კი, მისი დედის თხოვნით, თბილისში გადმოასვენეს.

ამ შემთხვევის შემდეგ, გიორგი ძალიან გამოიცვალა. დაჯავრიანდა, ლაპარაკის დროს ხშირად ყოყნდებოდა, მზერას რაიმეზე შეაჩერებდა და ასე იყო ერთხანს. მაგრამ დრო ხომ ყველაფრის მკურნალია და გიორგიც გამოფხიზლდა, მით უმეტეს, რომ საქართველოში ახალი საქმე წამოიწყეს — ზესტაფონში ფერომანგანუმის ქარხნის აშენება გადაწყდა — და გიორგიც დატრიალდა. 1931 წლის თებერვალში დაიწყო კიდეც ზესტაფონის „ფეროს“ მშენებლობა.

ქეთევან მოსაშვილი.

დასასრული. იხ. „ლელო“ №38

ᲨᲕᲘᲓᲘ ᲡᲐᲞᲠᲘᲖᲝ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

გამარჯვება და ცამეტი საპრიზო ადგილი (4 ოქროს, 3 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალი). მას შემდეგ დიდი დრო არ გასულა და, რა დასამალია, ფსიქოლოგიური განტვირთვა ყველამ ვერ მოახერხა. ზოგი არ არის ჩვეულ ფორმაში, ზოგს კი, უბრალოდ, გონს მოსასვლელად არ ეყო დრო. ეს, სხვათა შორის, ასეა მუდამ — დიდ სტრესულ დატვირთვებს, ჩვეულებრივ, დეპრესიის პერიოდი მოყვება ხოლმე...

შაინც რა მოხდა თბილისის ტურნირის სტარტზე?

ᲛᲔᲫᲘᲛᲔ ᲤᲝᲜᲐ. ასპარეზობაში მონაწილეობდა ხუთი ათლეტი საქართველოდან: აკაკი ციბორძალიძე, დავით ხახალეიშვილი, ზაზა დაბრუნდაშვილი, ვალერი პარუნაშვილი და მიხეილ ხუმარაძე. ამათგან მეტ-ნაკლები წარმატებით იასპარეზა მხოლოდ ზაზა დაბრუნდაშვილმა, რომელმაც მონგოლ ბატერდენესთან დამარცხების შემდეგ მაინც გაიკაფა გზა ფინალისკენ და ბოლოს მესამე ადგილზე გავიდა.

ციბორძალიძე და პარუნაშვილი სასტარტო ბრძოლებშივე დამარცხდნენ. პირველმა წააგო შეხვედრა ფრანგ დავიდ დუიესთან, მეორემ კი ომავე მონგოლ ბატერდენესთან. ხახალეიშვილმა წმინდად აჯობა ფრანკ ნოვლანდს (აშშ), ხუმარაძემ კი მსაჯთა გადაწყვეტილებით მასზე გაცილებით უფრო მძიმე გილ ხვანგზაიუს (სსდრ).

ხახალეიშვილს (იგი 18 წლისაა) მეორე წრეში ფიზიკურად ძლიერი მეტოქე ჰყავდა — ვალერი კობლევი. მასთან ჭიდილში ქართველ ათლეტს ხელი დაუშავდა, რამაც მის შემდგომ გამოსვლას გარკვეული კვალი დაჩნია. ხახალეიშვილმა მოგებით კი მოიგო ეს შეხვედრა, მაგრამ მომდევნო წრეში ვერაფერი გააწყო გენადი იარიომენკოსთან (მომავალ ფინალისტთან), კოკა დაუთმო მას და დამარცხდა. ქართველ ფალავანს შეეძლო ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლა, მაგრამ ნატკენმა ხელმა ამის საშუალება არ მისცა, იარიომენკომ ხუმარაძესაც გადაუკეტა გზა ფინალისკენ (მეორე წრეში) და თავად მოიპოვა მთავარი პრიზისთვის ბრძოლის უფლება. მაგრამ აქ მასზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა სერგეი კოსოროტოვი, რომელმაც მოიგო პირველი ადგილი.

95 კგ. კობა კურტანიძის გარეშე ამ წონაში, როგორც იტყვიან, ბურთი და მოედანი ახალგაზრდებს დარჩათ. მათ შორის ყველაზე უკეთ მომზადებული აღმოჩნდა ვადიმ ვოინოვი, რომელმაც მოიგო მთავარი პრიზი ლეონიდ სვირინთან ბრძოლაში.

აქ მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა ლერი ჟორჟოლიანი, საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი. ორ სასტარტო შეხვედრაში გამარჯვების შემდეგ (ფრანგ სტეფან ტრენოსთან და საბჭოთა ნაკრების წევრ დიმიტრი სოლოვიოვთან) ჟორჟოლიანს ხელი მოეკარა ახალგაზრდა რიგელთან ინდრეკ პერტელსონთან ორთაბრძოლაში. მაგრამ ამის მიუხედავად მომდევნო შეხვედრები მოიგო და ერთ-ერთ საპრიზო ადგილს დაეუფლა.

ალექსანდრე დონლუზაშვილი ასპარეზობას მეორე წრეში გამოეთიშა (იუსიფ კაზიმოვთან მარცხის შემდეგ), გიორგი მუმლაძე და კობა გურეშიძე — ზედ სტარტზევე (პირველი იაპონელ ოსამუ არახაკისთან დამარცხდა, მეორე — ვლადიმერ ჩეპჩენკოსთან).

86 კგ. ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვეს გამოცდილმა ძიუდოისტებმა ვიტალი პესნიაკმა და ანზორ თენაძემ. მანამდე პესნიაკმა გიორგი გაჩეჩილაძეს (საქართველო), ამირ ძოგუშკოვს, ვლადიმერ სელიაკოვსა და ვალერი იორდანოვს (სამივე — სსრ კავშირი) აჯობა. თენაძეს ფინალამდე საში შეხვედრის მოგება დასჭირდა — ფრანგ ჟან-ლუი გეიომთან (წმინდად მე-3 წუთზე), ვიქტორ პოდდუბნისთან (მსაჯთა გადაწყვეტილებით) და მაგომედ ტიულპაროვთან (3 წუთში).

ფინალში პირველი ვაზარი ქართველმა მოჭიდავემ მოიპოვა, მაგრამ ორი წუთის შემდეგ პესნიაკმა გაათანაბრა მდგომარეობა, ბრძოლის მიწურულს კი კიდევ ერთი იუკო მოიპოვა და შეხვედრაც მოიგო.

დავით ბაგაური, ამ ტურნირის კიდევ ერთი ფავორიტი, თავიდანვე ნატკენი ხელით ჭიდაობდა და მისგან, ცხადია, ბევრს არც ველოდით. ბაგაური პირველსავე წრეში დამარცხდა ვლადიმერ სელიაკოვთან. ასევე სტარტზე გამოეთიშა ასპარეზობას ახალგაზრდა ქართველი ძიუდოისტი ირაკლი გურჩიანი (დამარცხდა ოლეგ შაპჩიკთან).

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ



სერგეი კოსოროტოვი

ვადიმ ვოინოვი

ვიტალი პესნიაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲘᲖᲘᲝᲠᲔᲑᲘ

ანზორ თენაძე



ზაზა დაბრუნდაშვილი

ლერი ჟორჟოლიანი

ᲕᲘᲜ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲒᲐᲜᲘᲭᲧᲝᲡ ᲢᲐᲢᲐᲛᲖᲔ ᲒᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ

ᲓᲐᲒᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲗ!

ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲗᲐ განცდები სტარტის წინ თავისთავადაა საინტერესო თემა, რაზედაც იშვიათად თუ იწერება პრესაში. ჩვენ ახლა შევეცდებით გაგაცნოთ ძიუდოში თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ვინ როგორ ემზადებოდა ტატამზე გასასვლელად. ვფიქრობთ, „სპორტსმენთა საუბარეულო“ დაინტერესებს მკითხველს. ამ საქმეში დახმარება ვთხოვეთ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის მწვრთნელს შოთა ხაბარელს. დავიწყეთ იმით, რომ პირველი კითხვით თვით შოთას მივმართეთ.

◎ პირადად თქვენ რა გახახიათებდათ ტატამზე გასვლის წინ?

— ძალიან დინჯად, შეიძლება ითქვას, უჩვეულოდ დინჯად, ფიქრიანად გავდიოდი ტატამზე, ამ მომენტში ვცდილობდი ყველაფრის დავიწყებას, აი, კობა კურტანიძე პირიქით, არენაზე მუდამ სირბილით გადის, არა აქვს მნიშვნელობა ტატამი ახლოსაა თუ მოშორებით.

ახლა კი უშუალოდ ამ ტურნირის მონაწილეებს დავაკვირდეთ. ამერიკის შეერთებული შტატების გუნდის წარმომადგენელი დევიდ ვოლენსი შეჯიბრების წინ ძალიან თბილადაა ჩაცმული და შეუსვენებლივ სახტუნებლით ვარჯიშობს 10 წუთი. კორეელი პაკ უნი გასახდელში დგას და ორივე ლოყაზე ხელებს ირტყამს, დრო და დრო კი სხეულის ცალკეულ ნაწილებს ძალისმიერი ჩქმეტით „აღვიძებს“, სსრ კავშირის ნაკრების წევრი ვალერი იუდანოვი ღრმად ჩაფიქრებული დადის გასახდელში. ფრანგი ე. გეიმონი კუთხეში მიმჯდარა, სახეზე ხელები აქვს აფარებული და პლეიერით შუსიკას უსმენს.

ვლადიმერ დგებუაძე მტკიცე ნაბიჯებით, შეკრული მუშტებით შედის სარბიელზე...

ᲒᲣᲜᲓᲘ

ᲒᲣᲨᲕᲘᲜ...

თბილისის საერთაშორისო ტურნირის მეორე დღე საქართველოს ძიუდოისტებმა არწყინვალედ ჩაატარეს, მოიგეს ორი ოქროს, ერთი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი. ჩემპიონები გახდნენ ხოხუმელი ვლადიმერ დგებუაძე (71 კგ) და გორელი ენგურ გოგიჩაშვილი (78 კგ). ამავე წონაში ქარელელ ბესიკ ქოქოევს ვერცხლის, ხოლო ხოხუმელ თამაზ ჭელიძეს ბრინჯაოს ჯილდოები ხვდათ.

სულ ორი დღის შემდეგ საქართველოს ნაკრების წევრებს მოპოვებული აქვთ ორი ოქროს, ორი ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲛᲔᲓᲐᲚᲘᲡტᲔᲑᲘ

78 კგ. 1. ენგურ გოგიჩაშვილი, 2. ბესიკ ქოქოევი, 3. თამაზ ჭელიძე (სამივე — საქართველო) და სტეფან ფრემონი (საფრანგეთი).

71 კგ. 1. ვლადიმერ დგებუაძე (საქართველო), 2. პასკალ ბოხო (საფრანგეთი), 3. იური ხოკლოვი (სსრ კავშირი) და ლი ჩან სუნი (სსდრ).

ᲠᲬᲛᲔᲜᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲑᲠᲣᲜᲝᲗ

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

დიახ, ამ ეტაპზე დიდი მნიშვნელობა აქვს რწმენას საკუთარ ძალებში, საკუთარ შესაძლებლობებში, - რწმენას, რომ გუნდს ხელეწიფება ყველაზე რთული ამოცანის გადაჭრა, თორემ რიგის ვეფ-ი, გულახდილად უნდა ვთქვათ, არ გახლავთ ის გუნდი, რომლის დამარცხებაც დინამოელებს უნდა გაუჭირდეთ. მაგალითისთვის თუნდაც — მათი პირველი შეხვედრა გავიხსენოთ. რიგელებს, დარწმუნებული ვართ, გამარჯვების დიდი იმედი არცა ჰქონდათ. მაგრამ ბრძოლა იმდაგვარად წარიმართა, რომ ჯერ სურვილი გაჩნდა, მერე კი მისი რეალიზაციის გზებიც. მადა ჭამაში მოდისო, რომ ამბობენ, სწორედ ასე მოხდა.

დღევანდელი ვეფ-ის ამბიციები, უმეტესწილად, ორი კალათბურთელის (ეკობსონსი და ვეტრა) ოსტატობას ემყარება. ასეთი უმნიშვნელო რესურსებით საკავშირო ჩემპიონატს თავიდან ბოლომდე, ცხადია, ვერ გასწვდები. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ რიგის კოლექტივი დღესდღეობით აუტსაიდერი გახლავთ. მაგრამ ერთი ორი მატჩის უმაღლეს დონეზე ჩატარება, თუკი ხელშეწყობაც სათანადო ექნა, ცხადია, ყველა გუნდს შეუძლია. ეკობსონსმა და ვეტრამ პირველ მატჩში ბოლომდე გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობები და კოლექტივს 49 ქულა შესძინეს, ფაქტობრივად ქულათა ნახევარზე მეტი.

რიგელთა „დაუსჯელი პარპაში“ 36-ე წუთამდე გრძელდებოდა, მანამდე, სანამ დინამოელებმა არ იგრძნეს მოახლოებული მარცხის საშიშროება. სხვათა შორის 36-ე წუთი ამ მატჩის კულმინაციური მომენტი იყო, რომელმაც თბილისელებს რწმენა და ბრძოლის უნარი დაუბრუნა. დარჩენილმა ოთხმა წუთმა მატჩის ბედი თბილისელთა სასარგებლოდ გადაწყვიტა.

მეორე მატჩში „დინამო“ უფრო ახლებურად, განსხვავებულ როლით წარმოგვიდგა. ყველაზე სასიამოვნო კი ის გახლდათ, რომ ბრძოლის შესაფერი უნარი გამოავლინა. განსაკუთრებით უკომპრომისო ბრძოლა იყო ამ დღეს მოედნის ყველა მონაკვეთში, ყველა რგოლში. თბილისელები ამ ბრძოლას არ შეუშინდნენ და ბოლოს მიაღწიეს კიდეც მიზანს.

„დინამოს“, ეს ყველამ კარგად იცის, ამ ჩემპიონატში უამრავი პრობლემა აქვს გადასაჭრელი. მაგრამ, როცა ლიდერი (მხედველობაში გვყავს დარსაძე) თავის ადგილზეა, როცა კოლექტივი ერთ მუშტად არის შეკრული (ერთ მხარეს — გამოცდილი კოლიჩევი, კროპაჩოვი და ტიუბინი, მეორე მხარეს — ახალგაზრდები ვაშაკიძე, ფერიაშვილი და სანაძე). ამ პრობლემათაგან ზოგიერთის მოგვარება თითქოს ძნელი არც უნდა იყოს.

ახალგაზრდა კალათბურთელთა გვარების ჩამოთვლისას ჩვენ შეგნებულად ავუარეთ გვერდი შენგელიას, ვინაიდან მასზე ორიოდე სიტყვა საგანგებოდ უნდა ვთქვათ. იმ ტიპის ცენტრალურ თავდამსხმელს, როგორიც შენგელია გახლავთ, გარკვეული ფუნქცია აკისრია და, უმეტესწილად, გუნდის თამაში მისმა სწორმა მოქმედებამ უნდა განაპირობოს. შენგელია ამ დღეს ნამდვილი ცენტრალური თავდამსხმელი იყო და როგორც გამოირკვა საკმაოდ რეალურ ძალასაც წარმოადგენს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ბოლოს და ბოლოს, ისიც ვნახეთ, რომ მატჩის მოგება ცენტრალურ თავდამსხმელსაც შეუძლია. ერთი სიტყვით, მეორე მატჩში „დინამომ“ ბევრი ახალი თვისება გამოამჟღავნა და გულშემატკივრებსაც (კალათბურთელებთან ერთად) რწმენა დაუბრუნა. ეს კი კოლექტივს დღეს ყველაზე მეტად სჭირდება.

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲑᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ტალინსა და ზოსკოვში გაიმართა კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

ᲢᲐᲚᲘᲜᲘ. „კალევმა“ რევანშში აიღო და ალმა-ათის არმიელები მეორე დღეს დამარცხა 92:83 (43:47).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. ადგილობრივმა „დინამომ“ დონეცკის „შახტიორს“ მეორე შეხვედრაც მოუგო 92:78 (45:42).

ᲑᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 25 თებერვლისთვის

„დინამო“ (მ.)	32	21	11	53
ასკ (ალმა-ათა)	28	18	10	46
„კალევი“ (ტალ.)	30	15	15	45
ცსკა	25	18	7	43
„ელვ.“ (კაუნ.)	20	19	1	39
„სტატიბა“ (ვილ.)	26	12	14	38
„დინამო“ (თბ.)	28	10	18	38
„სტრო�ტ.“ (კ.)	20	17	3	37
ვეფ (რიგა)	29	4	25	33
„სპარტ.“ (ლენ.)	26	6	20	32
„შახტ.“ (დონ.)	24	7	17	31
რტი (მინსკი)	22	8	14	30

„ლელოს“ საკორესპონდენტო პუნქტი გუდაურში

დრო გვაჩქარებს

საბჭოთა კავშირში პირველად ტარდება ქალთა შორის სამთოსათხილამურო სპორტში ევროპის თასის გათამაშების ეტაპი და ამ ავტორიტეტული ასპარეზობის მასპინძლობა წილად ხვდა ჩვენი რესპუბლიკის სამთოსათხილამურო სპორტის ახალ ცენტრს — გუდაურს.

ეს გახლავთ უმაღლესი კატეგორიის ასპარეზობა და, რაღა თქმა უნდა, ასეთი რანგის შეჯიბრებას საგულდაგულო მომზადება ჭირდება. მაქსიმალურად უნდა იქნეს გათვალისწინებული ყველაფერი, რაც დაკავშირებულია არა მხოლოდ უშუალოდ ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩატარებასთან, არამედ სტუმრების მიღება-დაბინავებასთან, მათს კვებასთან, კულტურულ ღონისძიებებთან და ა. შ.

რესპუბლიკის მთავრობამ იმთავითვე მიიღო სათანადო ზომები ყველა საკითხის მოსაგვარებლად. შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომლის სხდომებზე სისტემატურად განიხილებოდა პრობლემური საკითხები, გასული წლის 22 ნოემბერს კი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო საგანგებო დადგენილება.

როგორ სრულდება დადგენილების მოთხოვნები, როგორ გამოიყურება დიდი შეჯიბრების წინ გუდაური? ჩვენ უკვე ვწერდით არსებულ ზოგიერთ ნაკლოვანებებზე. ბევრი ხარვეზი გამოჩნდა ამ დღეებში აქ გამართულ საკავშირო პირველობაზე.

ზემოხსენებული დადგენილებით ადგილობრივი კუროორტების სამმართველოს დავალებული ჰქონდა სასტუმრო „ბიდარას“ კეთილმოწყობა ევროპის თასის გათამაშების მხაჯებისა და ოფიციალური სტუმრების მისაღებად. ეს სასტუმრო წელს კოოპერატორებს გადასცეს. აქ ახლა ყველაფერი კეთდება, რათა „ბიდარა“ ყოველმხრივ მზად იყოს და დაბინავოს სტუმრები. გასული წლის დეკემბრის ბოლოს ამუშავდა სასტუმრო „გუდაური“, რომელიც 120 სპორტსმენს მიიღებს. სპეციალური ტრანსპორტისა და მისი ექსპლუატაციის სისტემის სახელმწიფო კომიტეტმა მოაწყო ტრასები, საბაგირო გზები მუშაობს, გაკეთდა სასტარტო და საფინიშო სახლები, რომელთა შორის დამყარებულია კავშირი. საქენერგოდან გუშინ აქ ამოვიდნენ სპეციალისტები, რომლებიც შეამოწმებენ ელექტროგაყვანილობების საიმედობას და გამოავლენენ ნაკლოვანებებს. ამიერკავკასიის რაინიგზის სამმართველომ შემოწიდა საწოლები სამტრედიიდან, ახლა კი საწოლების ბადეებს ელოდებიან, რომელიც რესპუბლიკის გარედან უნდა მიიღონ. თუ მისი შემოტანა დაგვიანდა, ბადეებს შეცვლიან მკვრივი ფანერით.

არის მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც ერთიან კოორდინაციას მოითხოვს, რაც, სამწუხაროდ, ჯერ არ იგრძნობა. ბევრი რამ გაკეთდა, ბევრიც კეთდება, არის საკითხები (ვთქვათ, ტრასების ვარგისიანობა და სხვა), რაც სპეციალისტთა დასკვნებს მოითხოვს, სპორტის მუშაკთა მხრიდან კი, როგორც გვითხრეს, ჯეროვანი ყურადღება არ არის. ელოდებიან, მაგრმ ჯერჯერობით არ ჩანან მუშაკები, რომლებიც სასტუმრო „ბიდარაში“ საფინანსო ოპერაციების წარმოების საკითხს მოაგვარებენ, დრო კი ყველაფერში გვაჩქარებს.

დანარჩენ საკითხებზე „ლელოს“ უახლოეს ნომერში გესაუბრებით.

ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲠᲗᲨᲘ ● I ᲚᲘᲒᲐ

მიღწევად ვერ ჩაითვლება

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲕᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲪᲣᲠᲐᲝ ᲐᲣᲖᲘ.

ახკ (თბილისი) — „სინთეზი“ (ყაზანი) 8:10 (2:2, 3:1, 1:4, 2:3).

ახკ: გორგაძე, კოღუაშვილი, ანდრეევი, დემეტრაშვილი, ქათამაშვილი. კელაურაძე, წულაძე; ფიოდოროვი, ფანჩულიძე, მოხარევი, ბობრული, მარგიევი.

„სინთეზი“: ტერილა, ნურმუხამეტოვი, შეპელევი, იაკოვლევი, კირსანოვი, იუმაევი, ტოლსტიაკოვი; ჩერნიბი, გლადილინი, ნარიცა.

ამ გუნდების შეხვედრის დასაწყისი თანაბარი ბრძოლით წარიმართა. თუმცა, იგრძნობოდა, რომ თუ თბილისელები უფრო ყურადღებით ითამაშებდნენ, ყაზანელთა დამარცხება არ გაუჭირდებოდათ.

მართლაც, მეორე პერიოდში მათი მოქმედება უფრო ზუსტი აღმოჩნდა და თამაშის სადავეებიც ხელთ იგდეს, ამას კი ის მოჰყვა, რომ თბილისელები სამი ბურთის სხვაობით დაწინაურდნენ.

სამწუხაროდ, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა, მასპინძლებმა იოლი გამარჯვება ნაადრევად ირწმუნეს, უყურადღება მოადუნეს და უხეშ შეცდომას უხეში შეცდომა მოჰყვა. ყაზანელებმა, რაღა თქმა უნდა, ამით ისარგებლეს და ზედიზედ ხუთი ბურთი გაიტანეს. მასპინძლებმა ისღა მოახერხეს, რომ მეოთხე პერიოდის დასაწყისში ანგარიში გაათანაბრეს, მაგრამ ამან დიდი ენერგიის დახარჯვა მოითხოვა. მოჭადრაკეთა ენაზე რომ ვთქვათ, თბილისელები უკვე ცაიტნოტში იყვნენ, რასაც ნერვიულობა დაემატა, ამას კი კვლავ უხეში შეცდომები მოჰყვა და საბოლოოდ დამარცხდნენ.

* * *

ახკ (თბილისი) — უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლა (კიშინიოვი) 9:8 (3:2, 1:1, 2:1, 3:4).

ახკ: გორგაძე, კოღუაშვილი, ანდრეევი, დემეტრაშვილი, ქათამაშვილი, კელაურაძე, მოხარევი; წულაძე, ფიოდოროვი, ფანჩულიძე, ბობრული, მარგიევი.

სპორტსკოლა: შვარცმანი, კოზლოვი, ნოსკოვი, აფემოვი, სტრიეკოვი, ვლასოვი, ლუჩიცკი; ვახენინი, კლიმანოვი, იარალოვი, ჩისტიაკოვი, ბალანდინი.

ᲐᲛ შეხვედრაში ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. მაგრამ შემდეგ მასპინძლები დაწინაურდნენ და მეტოქეს ერთხელაც კი არ მისცეს გოლების თანაფარდობის აღდგენის საშუალება.

თუმცა, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, თითქოს თბილისელებმა ეს შეხვედრა ოილად მოიგეს. მართალია, ისინი ორჯერ სამი ბურთის უპირატესობით იყვნენ წინ და მეოთხე პერიოდში ოთხბურთიან სხვაობასაც მიაღწიეს, როცა ანგარიში 9:5 გახდა, მაგრამ ლამის ყაზანელებთან შეხვედრის ისტორია გამეორდა — მასპინძლები კვლავ ნაადრევად დამშვიდდნენ და მათმა მეტოქემ ზედიზედ სამჯერ დალაშქრა კარი. საბედნიეროდ, საფინალო სასტვენმა თბილისელებს დროზე მოუსწრო.

ამ შეხვედრაში კოღუაშვილმა 3 ბურთი გაიტანა. საერთოდ, იგი ჩვენს გუნდში საუკეთესო ბომბარდირად მოგვევლინა.

3 ქულა სამ შეხვედრაში — საბოლოოდ ასეთ შედეგს მიაღწიეს თბილისელებმა, რაც, რა თქმა უნდა, მასპინძელთა გუნდისთვის მიღწევად ვერ ჩაითვლება.

თბილისში ყველაზე უკეთ იასპარეზეს ყაზანელმა და მინსკელმა წყალბურთელებმა, რომლებმაც 4-4 ქულა აიღეს. კიშინიოველებმა 3, ხოლო მოსკოველმა და კაუნასელმა წყალბურთელებმა 2-2 ქულა.

სამწუხაროდ, მარიუპოლში გამართული შეხვედრების ყველა ანგარიში ჯერჯერობით არ მიგვიღია. ამიტომ სატურნირო მდგომარეობას ერთ-ერთ უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲞᲐᲥᲘᲫᲔᲚᲘ.

უნივერსიტეტელთა შესანიშნავი თამაშობა

გამარჯვება სტარტამდე

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲒᲣᲠᲩᲘᲐᲜᲘ

ᲫᲘᲣᲓᲝᲘᲡᲗᲐ თბილისის XX საერთაშორისო ტერნირში მესტიელი ჭაბუკის ირაკლი გურჩიანის დებიუტს წარმატებითს ვერ უწოდებთ, რადგან ამ მოჭიდავემ, რომელსაც პირველსავე შეხვედრაში საკმაოდ ძლიერი მეტოქე — საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი ოლეგ შაპჩიცი შეხვდა, ორთაბრძოლა წააგო და ვერაფრით დაამახსოვრა თავი გულშემატკივრებს.

გურჩიანმა ამჯერად „უხმაუროდ“ დატოვა სარბიელი. მაგრამ ეს დღეები დიდხანს მაინც ემახსოვრება, იგი ნამდვილი ტრიუმფატორი გახდა წინა დღეს. როცა მეგობრებმა და გულშემატკივრებმა სარბიელიდან ხელშიატაცებული გაიყვანეს...

...ამ შეჯიბრებაზე — თბილისის უნივერსიტეტის პირველ ღია პირველობაზე მკლავი გადაძალვაში, მასპინძლებმა თითქმის მთელი რესპუბლიკიდან მიიწვიეს მსურველები. რა თქმა უნდა, ისევე როგორც ყოველ სიახლეს, ამ შეჯიბრებასაც მთლად გაშოკვეთილი მოწინააღმდეგეები თუ არა, სკეპტიკოსები კარგა გვარიანად ჰყავდა. მაგრამ, როგორც კი შეეკვეთ უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, რომლის მყუდროება ამჯერად გულშემატკივართა შეძახილებს და მხურვალე მხარდაჭერას დაერღვია, უმალ დავრწმუნდით, რომ ყოველგვარი სკეპტიციზმი ამაო ყოფილა, რომ ეს ასპარეზობა დიდსა და პატარას, სტუდენტსაც და ლექტორსაც ერთნაირად იზიდავს, ამიტომ აზარტიც და ემოციაც მოჭარბებული იყო.

სულ 140-მა კაცმა სცადა ბედი. მონაწილენი ორ წონით კატეგორიად — 80 კგ-მდე და ზევით დაჰყვეს. თანაც ცალკე გათამაშდა პირველობები უნივერსიტეტელთა და მოწვეულთა შორის. სასწავლებლის პირველობაზე 80 კგ-მდე მოსპარეზეთა ფინალში გავიდნენ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი სოსო ჯალაღონია და მომავალი ისტორიკოსი ზაზა გუჯეჯიანი. გაიმარჯვა პოველმა. უფრო მძიმე წონაში პაატა ახალაძისა (ისტორიის ფაკულტეტი) და ფიზიკოს გოჩა ონანოვის გადამწყვეტ შეხვედრაში ძალები აშკარად არათანაბარი იყო. ჯერ ერთი, ახალაძე შეჯიბრებაში დაშავებული ჩაება (იგი ყოფილი მოჭიდავეა და ვეღარ ვარჯიშობს მკლავის ტრავმის გამო). მაგრამ მაინც, ნატკენი ხელით მიაღწია ფინალამდე. მეორეც, მისი მეტოქე ათლეტიზმის მიმდევარია, რაც მას გარკვეულ უპირატესობას აძლევდა და გაიმარჯვა კიდეც. მოწვეულთა ფინალში გავიდნენ ერეკლე გურჩიანი და თელაველი გელა ესიტაშვილი (80 კგ). აგრეთვე საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ზაურ ცხადაძე და გოჩა ონანოვი.

გაიმარჯვეს გურჩიანმა და ცხადაძემ და აბსოლუტური პირველობის ფინალში გავიდნენ.

ფინალისადმი ინტერესი იმანაც გააღვივა, რომ როგორც თვით მეტოქეებმა საჯაროდ განაცხადეს, აქამდე მათთვის „მკლავი არავის გადაუწევია“. მათ შორის გამარჯვებულის გამოვლენას ორი ცდა დასჭირდა და ჩემპიონობა გურჩიანმა დაისაკუთრა.

შემდეგ, რაც მოხდა დარბაზში, უკვე ვთქვით. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იქნებ ძიუდოისტს ამ გამარჯვების ზეიმმა გაუწია ცუდი სამსახური თვით ტურნირში, წინა დღის ტრიუმფმა ბრძოლის ენინ გაუნელა და ხელახლა განწყობა ასე ადრე არ მოდის, მას დრო სჭირდება, რაც აშკარად არ ეყო ახალგაზრდა სპორტსმენს. მაგრამ გულგასატეხი არაფერია. მას, რომ იტყვიან, ყველაფერი წინ უნდა ჰქონდეს და ახლა პირადად მასზეა დამოკიდებული მისი ბედი.

ᲣᲨᲐᲜᲒ ᲭᲘᲭᲘᲜᲐᲫᲔ.

ᲘᲣᲜᲘᲝᲠᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ

ᲘᲣᲜᲘᲝᲠ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც საუდის არაბეთში მიმდინარეობს, დამთავრდა პირველი ეტაპის შეჯიბრებები წინასწარ ჯგუფებში.

საბჭოთა ფეხბურთელებმა ბოლო მატჩი „ბ“ ჯგუფში კოლუმბიის გუნდთან გამართეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

ამ ასაკის კოლუმბიელი ფეხბურთელები საბრძოლო ამერიკის ჩემპიონები არიან, ამიტომაც გამარჯვებას ძალთა სრული მობილიზება დაჭირდა. მიმდინარეობდა მე-5 წუთი, როცა კოლუმბიელმა ფეხბურთელებმა საჯარიმო დარტყმით გახსნეს ანგარიში, მაგრამ, შემდგომში ინიციატივას საფეხბურთოდ დაეუფლა საბჭოთა გუნდი, 25-ე წუთზე საპასუხო ბურთი გაიტანა ტიმოშენკომ, მცირე ხანში კი სალენკომ ზედიზედ ორჯერ აიღო მეტოქის კარი.

საბჭოთა ნაკრებმა მატჩი ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: პჩელნიკოვი, ბენკო, ზაეცი, ტაბუნოვი, თეთრაძე, პოპოვიჩი, კასიმოვი, თედეევი, ტიმოშენკო (მატვეევი), სალენკო, კირიაკოვი (ნიკიფოროვი).

სხვა ჯგუფებში ჩატარებული შეხვედრები დამთავრდა ასეთი შედეგებით: საუდის არაბეთი— პორტუგალია 3:0, ნიგერია — ჩეხოსლოვაკია 1:1, ბრაზილია — აშშ 3:1, გდრ — მალი 1:0, ნორვეგია — ესპანეთი 4:2, ერაყი — არგენტინა 1:0.

დღეს მსოფლიო ჩემპიონატზე მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართება. საბჭოთა ფეხბურთელთა მეტოქე ქ. დამანში იქნება ნიგერიის გუნდი. მეოთხედფინალის დანარჩენი წყვილებია: პორტუგალია — კოლუმბია, ბრაზილია — არგენტინა, ერაყი — აშშ.

როგორც იტყობინებიან, ჩვენი მეტოქე — ნიგერიის ნაკრები გამოირჩევა მაღალი ტექნიკით, სისწრაფით და ამავე დროს ძალისმიერი, მკვეთრი თამაშით. 3 განვლილ მატჩში სამი ნიგერიელი ფეხბურთელი გააძევეს მინდვრიდან და რვა — გაფრთხილეს.

ჯგუფური ტურნირების საბოლოო ცხრილები:

„Ა“ ᲯᲒᲣᲤᲘ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
პორტუგალია	**3**	**2**	**0**	**1**	**2-3**	**4**
ნიგერია	**3**	**1**	**1**	**1**	**3-3**	**3**
ჩეხოსლოვაკია	3	1	1	1	2-2	3
საუდ. არაბ.	3	1	0	2	4-3	2

„Ბ“ ᲯᲒᲣᲤᲘ

სსრ კავშირი	**3**	**3**	**0**	**0**	**7-2**	**6**
კოლუმბია	**3**	**1**	**0**	**2**	**3-4**	**2**
სირია	3	1	0	2	4-6	2
კოსტა-რიკა	3	1	0	2	2-4	2

„Გ“ ᲯᲒᲣᲤᲘ

ბრაზილია	**3**	**3**	**0**	**0**	**10-1**	**6**
აშშ	**3**	**1**	**1**	**1**	**4-4**	**3**
გდრ	3	1	0	2	3-4	2
მალი	3	0	1	2	1-9	1

„Დ“ ᲯᲒᲣᲤᲘ

ერაყი	**3**	**3**	**0**	**0**	**4-0**	**6**
არგენტინა	**3**	**1**	**0**	**2**	**3-3**	**2**
ნორვეგია	3	1	0	2	4-5	2
ესპანეთი	3	1	0	2	4-7	2

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ფეხბურთელთა ნაკრებმა ქალაქ პიზაში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა დანიის გუნდთან. ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა, ეს ერთადერთი ბურთი 61-ე წუთზე გაიტანა ბერგომმ.

ᲐᲗᲔᲜᲘ. საბერძნეთისა და ნორვეგიის ეროვნული ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა დამთავრდა ბერძენ ფეხბურთელთა გამარჯვებით — 4:2.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ“

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 08 ტირაჟის შედეგები, რომელიც 1989 წლის 18-19 თებერვალს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია: 3.800.039 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (4) მოგება 10 000 მანეთია, 12-ის (332) — 343 მანეთი, 11-ის (4467) — 93 მანეთი.

08 ტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 11 მარტიდან 11 აპრილის ჩათვლით.

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს“ მორიგი, მერვე ტირაჟების შედეგები, რომლებიც 19 თებერვალს გაიმართა.

„სპორტლოტო“ 6 45“-დან: დაშვებულია 2028069 ვარიანტი.

ექვსი ნომერი ერთმა კაცმა გამოიცნო, რომელიც 10 000 მანეთს მიიღებს. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (160) მოგება 380 მანეთია, ოთხისთვის (4606) — 19, სამისთვის (58412) —3.

„სპორტლოტო 5 36“-დან: დაშვებულია 22442094 ვარიანტი.

ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (89) მოგება 7577 მანეთია, ოთხისთვის (14068) — 79, სამისთვის (316112) — 5.

რედაქტორი
თ. ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ.

საქართველოს წყალბურთის ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრები გუნდის ყოფილი წევრი, საქართველოს ჭაბუკთა თამაშების ჩემპიონი

გიორგი ზაურის ძე ურუაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07126